



შუჩისძეა ათენში, სტამბოლის გავლით... მილანის შვიდი, კალაძის ორი



ინგარიუ ჩაპიონთა ლიგის ორგზის გამარჯვებულთან

- მადლობა მოლოცვისთვის. უზომოდ გახარებული და ბედნიერი ვარ, - გვითხრა გუშინ კახა კალაძემ ათენში დაკავშირებისას, - ძნელია, მოკლედ აღწერო და გადმოცე ის, რაც ჩვენთან ხდება. სტადიონიდან ეს-ესაა გამოვედით. აქ ჩვენი უამრავი ქომაგია და გამაყრებელი ყოფილა ახლაც არ წყდება. ფანების ნაწილი ათენის ქუჩებში გაიშალა და იქ განაგრძობს ზეიმს... უზომოდ ბედნიერი ვარ. აღარც კი ვიცი, მეტი რა გითხრათ.

- ემოციები დროებით გვერდით გადავდეთ და თამაშის მოკლე კომენტარს არ დაგვზარდე...

- პირველ ტაიმში მეტოქემ უკეთ ითამაშა, მაგრამ თავისი ნილი შანსები ვერ გამოიყენა. ალბათ ამიტომაც დაისაჯნენ. მეორე ნახევარში ვაჯობებთ მონინალმდევს და დამსახურებულად მოვიგეთ. ამჯერად მაინც დავამტკიცეთ, რომ "ლივერპულზე" უკეთესი გუნდი გვყავს...

- მოედანზე შესვლისას მალდინის დაკეცილი ფურცელი გადაეცა...

- (იციანს)... დიახ, ჩვენი გუნდისთვის საჭირო მითითებები იყო...

- ბუნებრივია, ამ გამარჯვებაში ლომის წვლილი კაკამ და ინძაგამ შეიტანეს...

- ისინი უდავოდ გამორჩეულნი იყვნენ. მაგრამ ფეხბურთი გუნდური თამაშია და ცხადია, ამ გამარჯვებაში ყველას თავისი წვლილი მიუძღვის.

- უკვე ორჯერ მოიგე ჩემპიონთა ლიგა და ორივეჯერ "მილანში". იმავს სხვა გუნდშიც ხომ არ შეეცდები?



- ვიცი, ჩემს შესახებ მორიგი სპეკულაციები აგორდა. "მილანის" დატოვებას არ ვფიქრობ და ეს არც კლუბს უნდა... ლიგა მეორედ მოვიგე და პოსტსაბჭოთა სივრცეში ამ მხრივ ერთადერთი ფეხბურთელი ვარ.

- ლიგის ფინალს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაციც ესწრებოდა. ალბათ უკვე მოგილოცა...

- ვიცი, ახალკაცი აქაა. ჯერ არ მინახავს. ახლა გამოვედი სტადიონიდან და მალე შევხვდები.

- ლიგა პირველად რომ მოიგე, მიხეილ სააკაშვილმა მოგილოცა. ალბათ, კიდევ ერთხელ გხვდა ეს პატივი...

- საქართველოს პრეზიდენტს ძალიან უყვარს ფეხბურთი და ეროვნული გუნდის გარდა, ნაკრების ფეხბურთელთა წარმატებებიც ძალიან ახარებს. მაშინ მომილოცა ჩემპიონთა ლიგის მოგება და მჯერა, ახლაც დარეკავს. მობილური ახლახანს ჩავრთე, პირველად შენი ხარი შემოვიდა და კიდევ არაერთ მოლოცვას ველი... სხვა რაღა გითხრა... დანარჩენზე მეტი ვისაუბროთ.



კიდევ ერთი იტალიური სეზონი! გასულ წელს, სკანდალგამოვლილი იტალიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ამ წელს კი იმ სკანდალის გამო ქულებდაკლებულმა "მილანმა" "ჩამორთმეული" სკუდეტო მეშვიდე საჩემპიონთა ლიგო ტრიუმფით ჩაანაცვლა, რითიც შური იძია ორი წლის წინანდელი თურქულის კომშარის გამო. მაშ ასე, 7 გამარჯვება 11 ფინალში; 2 გამარჯვება ბოლო სამ ფინალში, ისტორიის ბოლო ხუთწლიან მონაკვეთში. ამ ისტორიაში ჩაინერა კახა კალაძეც, რომელმაც მეორედ ასწია ჩემპიონთა თასი... "მილანის" გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ ახლა მთავარ ევროთასს უკვე თერთმეტ-თერთმეტჯერ ფლ-ობენ იტალიური და ესპანური კლუბები (ათჯერ ინგლისელებს ჰქონდათ). "მილანის" გამარჯვება იყო სრულიად დამსახურებული, თუმც კი ფინალში ისე ვერ გაიბრწყინა, როგორც "მანჩესტერთან" საპასუხო სპექტაკლში. ანგლოტის გენიალობა კი ისაა, რომ გუნდი სწორედ პიკურ მომენტში აიყვანა ფორმის პიკზე. და არც ეს დაგვაინტერესებს: სამი პრემიერლიგელი ლომის ("მანჩესტერი", "ლივერპული", "ჩელსი") გარემოცვაში სეზონის მთავარ საკლუბო ფილდოს იტალიურმა გრანდმა გამოჰკრა ხელი...

6

ყველა გამარჯვებული

1955/56	ჩეკოსლოვაკია	1981/82	საბჭოთა კავშირი
1956/57	ჩეკოსლოვაკია	1982/83	საბჭოთა კავშირი
1957/58	ჩეკოსლოვაკია	1983/84	საბჭოთა კავშირი
1958/59	ჩეკოსლოვაკია	1984/85	საბჭოთა კავშირი
1959/60	ჩეკოსლოვაკია	1985/86	საბჭოთა კავშირი
1960/61	საბჭოთა კავშირი	1986/87	საბჭოთა კავშირი
1961/62	საბჭოთა კავშირი	1987/88	საბჭოთა კავშირი
1962/63	საბჭოთა კავშირი	1988/89	საბჭოთა კავშირი
1963/64	საბჭოთა კავშირი	1989/90	საბჭოთა კავშირი
1964/65	საბჭოთა კავშირი	1990/91	საბჭოთა კავშირი
1965/66	საბჭოთა კავშირი	1991/92	საბჭოთა კავშირი
1966/67	საბჭოთა კავშირი	1992/93	საბჭოთა კავშირი
1967/68	საბჭოთა კავშირი	1993/94	საბჭოთა კავშირი
1968/69	საბჭოთა კავშირი	1994/95	საბჭოთა კავშირი
1969/70	საბჭოთა კავშირი	1995/96	საბჭოთა კავშირი
1970/71	საბჭოთა კავშირი	1996/97	საბჭოთა კავშირი
1971/72	საბჭოთა კავშირი	1997/98	საბჭოთა კავშირი
1972/73	საბჭოთა კავშირი	1998/99	საბჭოთა კავშირი
1973/74	საბჭოთა კავშირი	1999/00	საბჭოთა კავშირი
1974/75	საბჭოთა კავშირი	2000/01	საბჭოთა კავშირი
1975/76	საბჭოთა კავშირი	2001/02	საბჭოთა კავშირი
1976/77	საბჭოთა კავშირი	2002/03	საბჭოთა კავშირი
1977/78	საბჭოთა კავშირი	2003/04	საბჭოთა კავშირი
1978/79	საბჭოთა კავშირი	2004/05	საბჭოთა კავშირი
1979/80	საბჭოთა კავშირი	2005/06	საბჭოთა კავშირი
1980/81	საბჭოთა კავშირი	2006/07	საბჭოთა კავშირი

გოპფრა პორტუგალიასთან საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ელიტრაუნდში ჩაება

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა. შუაზაფხვა

ვიტ ჯორჯია
ადგილი ჩემპიონატში: 5

მონაგარი

კლუბი	პუნტი	გოლი	გოლი	გოლი
ბაქო	26	26	-27	-
დ. ლომაია	25	25	2	2
ბ. დათუნაიშვილი	24	23	7	7
ბერეანა	24	13	4	-
ბ. კვახაძე	23	23	2	1
გაზაფხვი	23	18	-	4
რაზმაძე	22	16	1	5
დ. ლომია	21	12	-	-
ბ. დათუნაიშვილი	20	20	-	3
ბ. გელაშვილი	20	19	4	-
სახოკია	19	18	4	1
გელაშვილი	17	15	10	1
გაზაფხვი	15	5	-	1
კვახაძე	14	5	-	2
დიდგორაშვილი	13	13	1	2
ფიქრიაშვილი	13	13	4	2
გაბელაშვილი	11	11	-	1
კლიშვილი	9	4	1	1
ინგოლა	6	-	-	-
ბაგაძე	5	3	-	2
თ. კობიაშვილი	4	3	-	-
კინკაძე	4	1	-	-
მისაბერიძე (შპს)	1	-	-	-
ლიბარტი	1	-	-	-

პირველ წრეში „ვიტ ჯორჯია“ ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იყო და ჩემპიონობის რეალურ პრეტენდენტადც მიიჩნეოდა. თუმცა გუნდის ლიდერების, დავით დიდიშელაშვილისა და გიორგი ფიქრიაშვილის „დინამოში“ წასვლამ ყველაფერი შეცვალა. სეზონის მეორე ნახევარში ვეტერინარებს მოსალოდნელი შეფერხება დაეწყო და შედეგად, ახალგაზრდების ამარა დაჩინილი გუნდი მეხუთე საფეხურს ვერ ასცდა. „ვიტ ჯორჯია“ ინტერტოტოზე იმ შემთხვევაში იასპარეზებს, თუ საქართველოს თასი „ზესტაფონმა“ მოიგო. კლუბი საკუთარ პოლიტიკას არ ღალატობს. მომავალ სეზონში „ვიტ ჯორჯიას“ აღზრდილებისგან ბევრს უნდა ველოდოთ.

ნესტორ მუგლაძე მთავარი მწვრთნელი



მეკარე გრიგოლ ბედიასვილი ვეტერინარა შორის ერთადერთია, ვინც ყველა მატჩი ძირითადში ჩაატარა


„პირველი წრით სახვებით კმაყოფილი ვარ, გუნდმა გამართული და შედეგიანი თამაში აჩვენა. მეორე წრეში კი დიდშელაშვილისა და ფიქრიაშვილის გარდა, ტრავმირებული გველესიანი და ბელგიაში წასული გელაშვილიც დაგვაკლდა. ამის მიუხედავად, მაინც შეგვეძლო ჩემპიონატის უფრო მაღალ საფეხურზე ჩამთავრება, რამდენიმე გაუთვალისწინებელი და დასახანი ქულა დაგვკარგეთ.“

საუკეთესო მატჩი
„პირველ წრეში „ამერს“ დრამატულ ბრძოლაში 4:3 ვძლიეთ. ჩემმა ბიჭებმა შესასურთი შემატებინა გამოავლინეს.“

ყველაზე ცუდი მატჩი
„ჩემპიონატის ბოლო ტურში იმავე „ამერთან“ გუნდმა უსუსურად ითამაშა, ასე უმანსოდ არავისთან ნაგვიანია.“

პლუსი და მინუსი
„ძალიან ბევრ საგოლე მომენტს ვეკნინდით, რაც რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ სამწუხაროდ, შეტევას შედეგიანად იშვიათად ვაკვირვებდით.“

ზზადავა მომავალი სეზონისთვის
„მაისის ბოლოს ან ივნისის დასაწყისში შევიკრიბებით და კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად, მომავალი სეზონისთვის კონკრეტულ გეგმებს დავსახავთ. იმედია, ინტერტოტოზეც გავალთ, ეს ტურნირი ჩვენს ახალგაზრდებს დიდ გამოცდილებას შესძენს, მაგრამ ამავდროულად, ევროასპარეზზე შედეგიანი გამოსვლისთვისაც ვიბრძობებით.“



ნისთვის კონკრეტულ გეგმებს დავსახავთ. იმედია, ინტერტოტოზეც გავალთ, ეს ტურნირი ჩვენს ახალგაზრდებს დიდ გამოცდილებას შესძენს, მაგრამ ამავდროულად, ევროასპარეზზე შედეგიანი გამოსვლისთვისაც ვიბრძობებით.“

მომავალი სეზონი
„დარწმუნებული ვარ, კვლავ სერიოზული ძალის გუნდი გვეყოლება და რეალურად ვიბრძობებით საპრიზო სამეულისთვის.“

საკადრო პოლიტიკა
„შესაძლოა, რამდენიმე ფეხბურთელმა დაგვტოვოს, ეს საკითხი რამდენიმე დღეში გადაწყდება. ახალწვეულებს რაც შეეხება, ძირითადად, ჩვენი ფარმ-კლუბებიდან დავიმეტებთ ფეხბურთელებს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, ახალგაზრდა მოთამაშეები სხვა გუნდებიდანაც დავიმეტებთ.“

ფინანსური მდგომარეობა
„ამ მხრივ ყველაფერი კვლავ რიგზეა, კლუბს ნამდვილად აქვს იმის სახსრები, რომ ღირსეულად იარსებოს.“

ჩემპიონატის რჩეული
„რამდენიმე ფეხბურთელმა შესანიშნავი სეზონი ჩაატარა, მაგრამ მათი გამორჩევისგან თავს შევიკავებ.“

ვიტ ჯორჯია და ქოვაბი
„სამწუხაროდ, გულშემატკივარი კვლავაც ცოტა გყავს. გული მწყდება, რომ მცხეთაში „ვიტ ჯორჯიას“ არ ქომავობენ.“


ჩემპიონატის იდეალური ფორმატი
„ფიქრობ, 14-გუნდიანმა ჩემპიონატმა გააძლიერა. კარგი იქნება, თუ სამომავლოდ უმაღლეს ლიგაში უფრო მეტი რეგიონი იქნება წარმოდგენილი“

გამორჩეული კოლეგები
„ჩემი კოლეგების შრომას დიდ პატივს ვცემ და არ მინდა, რომელიმე მათგანის დასახელებით სხვებს დამსახურება დავუკარგო.“

მსაჯობა
„არ ყოფილა კატასტროფული მსაჯობა, შეცდომა კი ყველას მოსდის. გვყავს რამდენიმე კვალიფიციური არბიტრი, რომლებსაც მნიშვნელოვანი მატჩები თავისუფლად შეიძლება ანდო.“

გარიგებული მატჩები
„დაბეჯითებით ვეტყვით, რომ „ვიტ ჯორჯია“ ბინძურ გარიგებებში არ მონაწილეობს, სხვა კლუბების საქმეებზე კი, ვერაფერს ვიტყვი.“

ლევან ჯანაშვილი



I ტური		
31.07.06	ს. გორაკაძე	0:0
II ტური		
06.08.06	ბ. სოლომონი	3:2
გოლები: სახოკია (2), ფიქრიაშვილი		
III ტური		
20.08.06	ს. კახაბერი	3:2
გოლები: დ. ლომია (2), ფიქრიაშვილი		
IV ტური		
27.08.06	ბ. ჯანაშვილი	3:0
გოლები: ფიქრიაშვილი, გელაშვილი, სახოკია		
V ტური		
09.09.06	ს. ლომიაშვილი	3:0
გოლები: გელაშვილი (2), ფიქრიაშვილი		
VI ტური		
17.09.06	ბ. ბერიანი	0:0
VII ტური		
23.09.06	ს. ოლიანი	0:4
გოლები: გელაშვილი, ბ. მელქაძე		
VIII ტური		
14.10.06	ს. გორაკაძე	2:2
გოლები: გელაშვილი, ბ. მელქაძე		
IX ტური		
21.10.06	ბ. რიხაძე	3:2
გოლები: ბ. დათუნაიშვილი (3)		
X ტური		
29.10.06	ს. ბათუმი	1:0
გოლი: გელაშვილი		
XI ტური		
05.11.06	ბ. ლინაძე	2:1
გოლები: ბ. დათუნაიშვილი, ბ. მელქაძე		
XII ტური		
18.11.06	ს. ლილა	6:0
გოლები: გელაშვილი (2), ბ. დათუნაიშვილი, ბ. მელქაძე, დიდშელაშვილი, ბერიანაშვილი		
XIII ტური		
26.11.06	ბ. ახარი	4:3
გოლები: ბ. დათუნაიშვილი (2), გელაშვილი, ბ. კვახაძე		
XIV ტური		
23.02.07	ს. გორაკაძე	0:0
XV ტური		
02.03.07	ს. სოლომონი	0:1
XVI ტური		
10.03.07	ბ. კახაბერი	5:1
გოლები: გელაშვილი, ბ. მელქაძე, ბ. კვახაძე, ბერიანაშვილი, კლიშვილი		
XVII ტური		
17.03.07	ბ. ჯანაშვილი	0:5
XVIII ტური		
31.03.07	ბ. ლომიაშვილი	3:0
გოლები: გელაშვილი, ბერიანაშვილი, რაზმაძე		
XIX ტური		
7.04.07	ბ. ბერიანი	0:0
XX ტური		
13.04.07	ს. ოლიანი	0:0
XXI ტური		
21.04.07	ბ. გორაკაძე	0:0
XXII ტური		
27.04.07	ბ. რიხაძე	1:0
გოლი: სახოკია		
XXIII ტური		
5.05.07	ბ. ბათუმი	0:0
XXIV ტური		
12.05.07	ბ. ლინაძე	0:1
XXV ტური		
16.05.07	ბ. ლილა	1:1
გოლები: ბერიანაშვილი		
XXVI ტური		
20.05.07	ბ. ახარი	0:3
26 მატჩი, 12 მოგება, 9 ფრე, 5 ნაგება, ბურთები 40-28, 45 ქულა		

ორი წლის შედეგ: იგივენი, მაგრამ მიღანი!

მილანი-ლივერპული 2:1

მილანი: დედა, ოდო, ნესტა, მალდინი, იანკულოვსკი (80. კალაძე), გატუზო, პირლო, ზეედორფი (90. ფავალი), ამბროზინი, კაკა, ინძაგი (88. ჯილარდინო).

ლივერპული: რეინა, ფინენი (88. არბელოა), აგერი, კარაგერი, რისე, ჩაბი ალონსო, ზენდენი (59. კიუელი), მასკერანო (78. კრაუჩი), ჯერარდი, პენანტი, კუიტი.

გოლები: 1:0 ინძაგი (45), 2:0 ინძაგი (82), 2:1 კუიტი (89)

მაყურებელი: 74 000

არბიტრი: პერბერტ ფანდელი (გერმანია)

სტატისტიკა		
მატი დონო: ლივერპული		
პირველი ჯარიმა: ლივერპული		
პირველი კარტონი: მილანი		
პირველი გაფრთხილება: მილანი		
5 (3)	დატანა	12 (4)
14	ჯარიმა	26
4	კარტონი	6
2	გაფრთხილება	2
53%	ბურთის ფლობა	47%

წინასწარ გამოცხადებულ შემადგენლობებში ერთადერთი ცვლილება რაფა ბენიტესმა პიტერ კრაუჩი სკამზე დატოვა და ძირითადად ჯერმეინ პენანტი დააყენა. როგორც მოსალოდნელი იყო, "მილანის" სასტარტოში არ არის კახა კალაძე. მაინც პაოლო მალდინი. პატარა ნარმოდგენაც მთავრდება. გერმანელი არბიტრი პერბერტ ფანდელი სასტარტო სასტვენისთვის ემზადება.

...და ჰა, თამაში იწყება. იწყება საკლუბო სეზონის ბოლო წერვების წყეტა. ბურთი "ლივერპულს" შეჰყავს თამაშში. გადის რამდენიმე წამი და ინგლისელთა პირველი შეტევა, თან არცთუ ურიგო: ზენდენი-კუიტი-ჯერარდის კომბინაცია. ჩანოდება შორული ძელისკენ, მაგრამ ცოტა მაღალია, პენანტი ბურთს ვერ სწვდება. თითქოს ინგლისელთა უპირატესობა იკვეთება, ყოველ შემთხვევაში, პირველი ხუთი წუთის განმავლობაში ბურთი ძირითადად "მილანის" ნახევარზე ტრიალებს. მაგრამ აი, იტალიელთა პირველი კუთხური. აქ, ლივერპულელებს, ალბათ, ორი წლის წინანდელი ახსენდება, როცა მალდინისგან გოლი პირველ წუთზე მიიღეს. დასაწყისში ძალიან ფხიზლად უნდა ვიყოთო, ხშირად იმეორებდა რაფა ბენიტესი თამაშის წინ...

კუთხურს შედეგი არ მოაქვს. მიმდინარეობს ბრძოლა მოედნის ცენტრის დაუფლებისთვის. ესაა სწორედ პრიორიტეტი. იმპროვიზაციის დრო არ არის. ერთი პატარა შეცდომაც კი შეიძლება ძვირად დაჯდეს... აი, იანკულოვსკი საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს ცდება. ბურთს კუიტი ეუფლება და გარღვევაზე გაჰყავს პენანტი, რომელიც შორეულ დაბალ კუთხეში ურტყამს. დიდა იგერიებს. მომენტი განმუხტულია... მაგრამ გადის ერთი წუთი და ისევ პენანტის ფლანგიდან მოდის საფრთხე. ჩანოდება. კუიტი ფეხებზე ატარებს ბურთს, მაგრამ დამრტყმელი არავინაა. პირველ ათ წუთს თუ შევაჯამებთ, უპირატესობა "ლივერპულს" მხარესაა. ბენიტესის ბიჭები უფრო თავისუფლად მოძრაობენ, კარგად იხსენიბან. სტრატეგიული სიგრძეც მათ კონტროლქვეშაა.

რას აპირებს "მილანი"? სად არის კაკა? აი, კაკა იანკულოვსკის პასს იღებს და ასე 20 მეტრიდან ურტყამს. რეინა განსაკუთრებული ძალისხმევით გარეშე ეუფლება ბურთს. არც იყო რთული ასაღები. კაკაზე მაინც ბევრია დამოკიდებული. თანაც, პირველი 15 წუთი ისე გადის, პირლო, გატუზო, ზეედორფი და ამბროზინი თითქმის არ ჩანან. კაკას თითქოს არ ჰყავს პერსონალური მეთვალყურე. ერთ ეპიზოდში მას საფირმო გარღვევის შესრულება შეეძლო, მაგრამ აგერმა იუხემა. საბოლოო ჯამში, ინძაგი მაინც მარტოა წინ. კარლო ანჩელოტი კი ამბობდა, კაკაც ფორვარდი იქნებაო, მაგრამ ასე მარტივად არ არის საქმე. ბრაზილიელი უფრო ნახევარდაცვიდან თამაშობს. პრინციპში, აქ არის სწორედ მისი კოზირები...

კიდევ ერთი დასტური იმისი, ჯერჯერობით "ლივერპული" უკეთესია. ნესტას მიერ უხერხულად მოგერიებული ბურთი ჩაბი ალონსოს მისდის. დაბალი დარტყმა 22 მეტრიდან, ოდნავ უზუსტო. ყოველი ასეთი ჩხვლეტა ბენიტესის ლაშქარს დამატებით მუხტს აძლევს. გოლი მომ-



მაგრამ პირველი ტაიმის დამატებულ წუთზე ჩაბი ალონსო უადგილო ადგილას ჯარიმდება. ეს პირლოს საყვარელი ადგილია. ბურთი გვერდს უქცევს "კედელს", ინძაგის მხარში ხვდება და... რიკოშეტის წინაშე რეინა უძღვრია - 1:0. ალონსო გოლი, რომელიც სცენარში არანაირად არ ჯდება და რომელმაც ყველაფერი თავდაყირა შეიძლება დააყენოს. რას იზამს ბენიტესი? კრაუჩია საჭირო. ვგრევე შემოიყვანს ვითომ? იქნებ, ბელამი სჯობდეს? მოდით, შევისვენოთ...

იწყება მეორე ტაიმი. ცვლილებები არ არის. "ლივერპული" წინ მიდის. ჯერარდი საჯარიმშია. ბოლო მომენტში ნესტა ბურთს კუთხურზე იგერიებს. კუთხურს კი არაფერი მოაქვს. "მილანს" უკვე ეტყობა, რომ დაცვაში ჩაჯდება. ანჩელოტი ისედაც არ ცნობს რისკს და მით უმეტეს, ახლა ნამდვილად არ გარისკავს. ან ღირს კი? თან "სტამბოლის დალი" თავისას შეება...

მეხუთე წუთია. "მილანი" ფრთხილად აკონტროლებს ბურთს. მალდინი ისევ ცდება. ცვლილება მნიშვნელოვანია. კალაძე? ჩვენებური ინტენსიურად ხურდება... აი, აგერი ცდება. რას იზამს ინძაგი? იბნევა. კაკა ჩვეული რეიდის განხორციელებას ცდილობს, მაგრამ სამი კაცი "იოლად" უმკლავდება. ამასობაში, ბენიტესი შეტევას აძლიერებს. რეაქტიული კიუელი ზენდენის ნაცვლად...

დაძაბულობა მატულობს. კარაგერის უმძიმესი შეცდომა და ძალიან სახიფათო ჯარიმა. ბურთთან ისევ პირლოა. ინძაგი სადღაა?.. დარტყმა კარს ზემოდან სცდება. აქედ "ლივერპული" საჩუქარს იღებს. გატუზოს შეცდომა. ბურთს ჯერარდი ეუფლება, უკან იტოვებს ნესტას და მეკარესთან პირისპირ გადის... დარტყმა... მაგრამ ეს არ არის დარტყმა. ვარჯიშია თუ ფინალი? დიდას ბურთი ხელთ აქვს. "როსონერი" გადარჩა.

კიუელი ჯერჯერობით დაკარგულია. ინგლისელები შეტევის მარცხენა ფლანგს ვერ იყენებენ. პენანტიც აღარ ჩანს. იანკულოვსკი მეტი ყურადღებით დარაჯობს ლივერპულელთა მარჯვენაფლანგს. უკვე მეორე ტაიმის მუხტულია. ბენიტესის გუნდი უპირატესობას კი ფლობს, მაგრამ ისე მწყობრად ვეღარ უტყვს, როგორც პირველ ტაიმში. თავად თამაშშიც არ არის გადასარევი. მიდის თამაში შედეგზე. თითქოს "მილანი" უკვე კარნახობს მეტოქეს თავის პირობებს... აი, ჯერარდის შორეული დარტყმა... მაგრამ ოდნავ არაზუსტად. დიდა ყურადღებით იყო. ალბათ, მოიგერიებდა.

ძირითადი დროის დასრულებამდე 15 წუთი რჩება. რაფა ნელ-ნელა ჩართავს დამატებით სიჩქარეებს. კრაუჩი შემოდის. თამაში "მეორე სართულზე" გადაინაცვლებს. ალბათ, ეს არის "ლივერპულს" მთავარი და ერთ-ერთი ბოლო კოზირი. იქვე, ანჩელოტი კალაძეს უხმობს. საქართველოს ნაკრების კაპიტანი იანკულოვსკის ცვლის და მისსავე ფლანგზე დგება. უდიდესი პასუხისმგებლობა. გაამართლებს? ნეტავ...

...ამართლებს. რა ფეხი ჰქონია კალაძე?! ორ წუთში მეორე გოლი იხადება. კაკას გენიალური დაყოფება. ინძაგი თამაშგარეშე ამოსვლას ასწრებს. იუველირული პასი. პიპო რეინას პირისპირაა, მახვილი კუთხე, ბურთი კარისკენ მიგორავს და... 2:0! აი, ინძაგი!!! ბრაგო, ბერლუსკონი! ტყუილად კი არ ურჩია კარლოს - ინძაგი დააყენე, გამოცდილიაო. დავამატებდით - გამოცდილია და ყისმათიანი. და მერე როგორი ყისმათიანი!

მორჩა? რაღას იზამს "ლივერპული"? დაუჯერებელია, "მილანმა" მთელი ეს ნადავლი 10 წუთში გაანიაგოს. თუმცა ინგლისელები მაინც "ასელებენ" ანგარიშს და სასწაულის იმედს იტოვებენ. 89-ე წუთი. კუთხური "მილანის" კართან. აგერი თავით ავდებს ბურთს საჯარიმოს სიღრმისკენ და კუიტი - 2:1. გადამწყვეტი წუთები. განწირულია მცდელობა უმედგავა. საფინალო სასტენი და "მილანი" ჩემპიონთა ლიგის შვიდგზის გამარჯვებულია! Bravo, Milan! Bravo, Carlo! Bravo, კახა!..

გიორგი ბელაშვილი

ნიფდა-თქო, ვერ ვიტყვი, მაგრამ არც ბევრი უკლია. "მილანი" უკბილოდ და ნელა ირჯება. სტანდარტულების დიდოსტატი პირლოც ასევე უკბილოდ სკიდებს ბურთს საჯარიმში და, დიდა ტექნიკური წუნცი... "წითლები" ამკარად დომინირებენ. მაგრამ ჯერ წუ ვიტყვი, ვინ არის გამარჯვების ღირსი, ჯერ ადრეა...

ეჰ, მალდინი... კიდევ ერთი უხეში შეცდომა დაცვაში. ჯერარდი საჯარიმში შედის და კუიტს აწვდის. დარტყმა! ნესტა უნებდა ბურთს. "ლივერპული" ძალიან სახიფათოა ფლანგებზე: იქით პენანტი, აქედ ზენდენი, თან ართმევაზეც კარგად თამაშობენ... ყვითელი ბარათი გატუზოს!

გერმანელმა რეფერიმ ორჯერ დახუჭა თვალი, მესამედ ვეღარ მოითმინა. "რინოს" გაფრთხილება იმას ნიშნავს, რომ ბენზე ჰკიდა. ესეც კიდევ ერთი მძიმე ტვირთი "მილანის" ნახევარდაცვისთვის. მოედნის ცენტრი ისედაც ჩაბი ალონსოსა და მასკერანოს უპყრიათ...

შედეგები - Table with columns: Team, W, D, L, GF, GA. Lists match results for various teams.

პეჯი - Table with columns: Team, W, D, L, GF, GA. Lists statistics for the 'Pegi' category.

პეჯი - Table with columns: Team, W, D, L, GF, GA. Lists statistics for the 'Pegi' category.

პეჯი - Table with columns: Team, W, D, L, GF, GA. Lists statistics for the 'Pegi' category.

ლეკიკეხენი - Table with columns: Team, W, D, L, GF, GA. Lists statistics for the 'Leqikeheni' category.

ნიკანკეხენი - Table with columns: Team, W, D, L, GF, GA. Lists statistics for the 'Nikankeheni' category.

პეჯი - Table with columns: Team, W, D, L, GF, GA. Lists statistics for the 'Pegi' category.

პეჯი - Table with columns: Team, W, D, L, GF, GA. Lists statistics for the 'Pegi' category.

გორჯისი (ლ) - Table with columns: Team, W, D, L, GF, GA. Lists statistics for the 'Gorjisi (L)' category.

პეჯი - Table with columns: Team, W, D, L, GF, GA. Lists statistics for the 'Pegi' category.

პეჯი - Table with columns: Team, W, D, L, GF, GA. Lists statistics for the 'Pegi' category.

პეჯი - Table with columns: Team, W, D, L, GF, GA. Lists statistics for the 'Pegi' category.

ქობულაძე - Table with columns: Team, W, D, L, GF, GA. Lists statistics for the 'Kobuladze' category.

პეჯი - Table with columns: Team, W, D, L, GF, GA. Lists statistics for the 'Pegi' category.

პეჯი - Table with columns: Team, W, D, L, GF, GA. Lists statistics for the 'Pegi' category.

პეჯი - Table with columns: Team, W, D, L, GF, GA. Lists statistics for the 'Pegi' category.

პეჯი - Table with columns: Team, W, D, L, GF, GA. Lists statistics for the 'Pegi' category.

პეჯი - Table with columns: Team, W, D, L, GF, GA. Lists statistics for the 'Pegi' category.



მეტეპარტი

